

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“

მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)
მიხედვით მომზადებული

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“

სარჩევი

გვერდი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში	8
4. ძირითადი საშუალებები	9
5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	10
8. საწესდებო კაპიტალი	10
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
10. შემოსავალი	11
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11
12. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	12
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
14. სხვა საოპერაციო შემოსავლები ხარჯები, წმინდა	12
15. ფინანსური შემოსავლები	13
16. ფინანსური ხარჯები	13
17. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები	13
18. ნაშთები და ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან	14
19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	14

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხა გამოხატულია ქართულ ლარში)

	შენიშ.	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	10,771,341	11,583,315	12,378,572
არამატერიალური აქტივები		119	1,493	2,871
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,771,460	11,584,808	12,381,443
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	468,335	579,683	503,934
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		45,219	36,494	32,748
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,058,367	2,251,325	2,203,047
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	5,280,663	3,091,111	1,918,300
სულ მიმდინარე აქტივები		7,852,584	5,958,613	4,658,029
სულ აქტივები		18,624,044	17,543,421	17,039,472
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	16,433,513	16,433,513	16,433,513
გაუნაწილებელი მოგება		561,914	(714,086)	(1,449,990)
სულ კაპიტალი		16,995,427	15,719,427	14,983,523
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარა		12,008	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		12,008	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
ფინანსური იჯარა		29,259	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	863,265	1,428,976	1,729,352
სხვა ვალდებულებები		1,265	-	10,879
ვალდებულებების და დარიცხვების სხვა ანარიცხები		722,820	395,018	315,718
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,616,609	1,823,994	2,055,949
სულ ვალდებულებები		1,628,617	1,823,994	2,055,949
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,624,044	17,543,421	17,039,472

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 23 სექტემბერი:

ნატალია ბარანოვა
გენერალური დირექტორი

ვერა ხლუსტოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“

მოგება-ზარალის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხა გამოხატულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	10	15,614,844	15,001,252
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(9,721,498)	(9,472,646)
მთლიანი მოგება		5,893,346	5,528,606
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	11	(751,003)	(763,064)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(3,308,353)	(3,421,860)
სხვა საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები, წმინდ	13	(720,562)	(688,574)
საოპერაციო მოგება		1,113,428	655,108
ფინანსური შემოსავლები	15	190,570	82,488
ფინანსური ხარჯები	16	(27,998)	(23,385)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები, წმინდა	14	-	21,693
მოგება დაზღვრამდე		1,276,000	735,904
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
პერიოდის მოგება		1,276,000	735,904

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 23 სექტემბერს:

ნატალია ბარანოვა
გენერალური დირექტორი

ვერა ხლუსტოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხა გამოხატულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ
1 იანვარი 2018	16,433,513	(1,449,990)	14,983,523
სულ წლის სრული მოგება	-	735,904	735,904
31 დეკემბერი 2018	16,433,513	(714,086)	15,719,427
სულ წლის სრული მოგება	-	1,276,000	1,276,000
31 დეკემბერი 2019	16,433,513	561,914	16,995,427

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 23 სექტემბერს:

ნატალია ბარანოვა
გენერალური დირექტორი

ვერა ხლუსტოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხა გამოხატულია ქართულ ლარში)

Notes	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადამდე	1,276,000	735,904
არაფულადი მოგების და ხარჯების კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,023,648	1,013,165
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა	4,440	(21,693)
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა	8,418	1,186
პროცენტის ხარჯები	144	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	2,312,650	1,728,562
(ზრდა) / შემცირება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში	111,348	(75,749)
(ზრდა) / შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	161,807	(51,752)
(ზრდა) / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(596,732)	(298,088)
(ზრდა) / (შემცირება) სხვა მიმდებარე ვალდებულებებში	329,067	68,421
(ზრდა) / (შემცირება) წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(8,725)	(3,746)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებების შემდეგ	2,309,414	1,367,648
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	2,309,414	1,367,648
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(156,930)	(216,838)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	22,000
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	(156,930)	(194,838)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური იჯარის ძირის და პროცენტის გადახდა	(20,106)	-
წმინდა /ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(20,106)	-
Net increase in cash and cash equivalents	2,132,378	1,146,458
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(57,174)	26,353
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3,091,111	1,918,300
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5,280,663	3,091,111

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 23 სექტემბერს:

ნატალია ბარანოვა
გენერალური დირექტორი

ვერა ხლუსტოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“ („კომპანია“) რეგისტრირებულია 2014 წლის 11 ნომერბერს და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა და შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის უშუალო მშობელი საწარმოა „ჰენკელ აგ & კო. კგაა“. ხოლო, საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს „ჰენკელ აგ & კო. კგაა“, გერმანია. სამეწარმეო მფლობელობის ფუნქციებს ასრულებს „ჰენკელ აგ & კო. კგაა“. ფიზიკური პირები არ წარმოადგენენ მაკონტროლებელ მფლობელებს.

კომპანია არის სამშენებლო მასალების და წებოვანი ნივთიერებების მწარმოებელი. ის ოპერირებს სამი ბიზნესს დანაყოფის მეშვეობით: სამომხმარებლო წებოვანი ნივთიერებები (AC), მოვლის საშუალებები (B) და სარეცხი საშუალებები (L). მთავარ ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სამომხმარებლო წებოვანი ნივთიერებები, რომელიც მოიცავს სამშენებლო მასალების ადგილობრივ წარმოებას, ჰენკელის წებოვანი პროდუქტების იმპორტს მეკავშირე კომპანიებიდან, წარმოებული და იმპორტირებული საქონლის მესამე მხარეზე რეალიზაციას საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში. მოვლის საშუალებების და სარეცხი საშუალებების დანაყოფები წარმოადგენენ მეორედ საქმიანობას, მოიცავს რეგიონში ჰენკელის საქონლის დისტრიბუციის დამხმარე მომსახურებებს და მეკავშირე კომპანიებზე გაწეულ მომსახურებებს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილია სოფელი მარტყოფი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, საქართველო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

მომზადების საფუძველი. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებების და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში მენეჯმენტის მხრიდან შეფასებების გაკეთებას. ის ასპექტები, რომლებიც შეფასების მაღალი ხარისხითა თუ სირთულით გამოირჩევა, ასევე, ის ასპექტები, რომელთა შემთხვევაშიც დაშვებები და შეფასებები ფინანსური ანგარიშგებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, განმარტებულია შენიშვნაში #3.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში მოქმედი ვალუტით, რომელშიც კომპანია საქმიანობს (შემდგომში „ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს მოქმედი კურსით. ასეთ ოპერაციებზე განხორციელებული ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს მოქმედი კურსით კონვერტაციის შედეგად გამოწვეული სავალუტო მოგება და ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ნასესხებ თანხებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები“. ყველა სხვა სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „სხვა საოპერაციო ხარჯები“ ან „სხვა მოგება“.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი სავალუტო კურსი ასეთია: 1 ევრო = 3.2095 ლარი (2018 წელს: 1 ევრო = 3.0701 ლარი); 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი (2018 წელს: 1 აშშ დოლარი = 2.676 ლარი). ამჟამად, ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას არ წარმოადგენს.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკში განთავსებულ უვადო (მოთხოვნამდე) დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებას და, საჭიროების შემთხვევაში, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება FIFO მეთოდით (რომლის საფუძველზეც მარგებში პირველი შემოსული, პირველი გავა). ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისთვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი მაშინ იქმნება, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების შესაბამისად გადასახდელი თანხების ამოღებას.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება რეალური ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. რეალური ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია აქტივის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და ხელმძღვანელობისთვის სასურველ სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია ძირითადი საშუალების ერთი ნივთის საბალანსო ღირებულებას უმატებს ამ ნივთის ჩასანაცვლებელი ნაწილის ხარჯს, როდესაც ამ ხარჯის გაწევა ხდება, თუ მოსალოდნელია, რომ ჩასანაცვლებელი ნაწილი მომავალში დამატებით სარგებელს მოუტანს კომპანიას. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება არ აღიარდება. ყველა სხვა სარემონტო სამუშაოები და ტექნიკური მომსახურება აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ასეთი ხარჯების გაწევა მოხდა.

სხვა აქტივების ცვეთა ისე დაირიცხება, რომ გამოიყოს აქტივების თვითღირებულება, სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაში ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. სხვა აქტივების ცვეთა დაირიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადებია:

შენობა (წარმოება)	25 წელი
შენობა (ოფისი)	40 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის დარიცხვის მეთოდების გადახედვა და საჭიროებისამებრ სათანადოდ კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მითითება ბოლო საანგარიშო თარიღის შემდეგ განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას აღემატება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ცვეთას ან ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივები ფასდება ყოველ საანგარიშგებო თარიღში იმის დასადგენად, არსებობს თუ არა აქტივების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე მინიშნება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე ტესტირებას გაივლის. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რა სიდიდითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეებზე, რისთვისაც

არსებობს ცალკე იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ცვეთას დაქვემდებარებული არაფინანსური აქტივები, გუდვილის გარდა, გადაიხედება გაუფასურების შესაძლო გაუქმების მიზნით, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებაში განისაზღვრება წესდების საფუძველზე. კომპანიის წესდებაში ცვლილებები მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, მითითებულია ფასდაკლებების, ამონაგების და დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით. კომპანია შემოსავალს აღიარებს: როდესაც შესაძლებელი იქნება შემოსავლის ოდენობის საიმედოდ გაანგარიშება; როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებელის კომპანიაში შედინების ალბათობა; და როდესაც კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილება კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი. როდესაც ბარტერული გარიგების შედეგად მიღებული საქონლის რეალურად ღირებულება უტყუარად ვერ ფასდება, შემოსავალი განისაზღვრება გაცემული საქონლის ან მომსახურებების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან შემოსავლის აღიარება ხდება რისკების გადაცემის და საქონლის საკუთრების უფლების გადაცემის ადგილზე, ჩვეულებრივ, საქონლის ტრანსპორტირების დროს. თუ კომპანია გადაწყვეტს საქონლის კონკრეტულ მისამართზე ტრანსპორტირებას, შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც საქონელი დამკვეთს გადაეცემა დანიშნულების ადგილზე.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის საანგარიშო პერიოდში, იმ კონკრეტული ოპერაციის დასრულების ეტაპის მითითებით, რომელიც ფასდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, როგორც მთლიანი მომსახურების ნაწილი.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება დროითი პროპორციის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიმდინარე მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისათვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ყველა საწარმოსათვის, გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა. ახალი მოდელით გაუნაწილებელი მოგება ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, განაწილებული კი - 15%-იანი განაკვეთით. წინა მოდელით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მისი განაწილების სტატუსის მიუხედავად.

მოგების დაბეგვრის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც კომპანიაზეც ვრცელდება. დასაბეგრი ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ასეთად ჩათვლილ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- ისეთი გაწეული ხარჯები თუ სხვა გადახდები, რაც არ არის კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასოდ მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე და წინა პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები

ფასდება იმ ოდენობით, რომლის მიღებას ან გადახდასაც კომპანია ვარაუდობს საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან.

განაწილებული მოგების გარდა სხვა ერთეულებზე დარიცხული გადასახადი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგების შენიშვნების მუხლში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

დაბეგვრის მოდელის ცვლილების გამო, ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა“ ეკონომიკურ შინაარსს კარგავს და მის ფასს-ის სტანდარტებით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ახალ კორპორაციულ საგადასახადო მოდელში არსებობას წყვეტს.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადელი დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებში გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ-ს ჩათვლა ხდება დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანო დაშვებულად ცნობს დღგ-ს ვალდებულების დაფარვას ჩასათვლელ დღგ-სთან გადაქცევის პრინციპით. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით, დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან მენეჯმენტი წარმოგიდგენთ კომპანიის საგადასახადო ნაშთებს წმინდა საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის გამოცემული 407 ბრძანების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების ცვლილება მისი გამოქვეყნების შემდეგ. კომპანიის აქციონერს და ხელმძღვანელობას უფლება აქვს ცვლილებები შეიტანოს ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოქვეყნების შემდეგ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ცალკეულ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ გარემოებებში მიიჩნევა გონივრულად. ვარაუდების გარდა, მენეჯმენტი ასევე აკეთებს შეფასებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. შეფასებები, რომლებიც ახდენს ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მომავალ ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

მოგების გადასახადის აღიარება. საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვან ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული, რაც შეიძლება ექვეყნე დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა. კომპანიის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციებს მენეჯმენტი ყოველ საანგარიშგებო თარიღში აფასებს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებზე, რომელთა შენარჩუნება, მენეჯმენტის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა იმ შემთხვევაში, თუ ეს პოზიციები საგადასახადო ორგანომ ექვეყნე დააყენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისათვის მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე. ჯარიმების, პროცენტისა და მოგებისგან განსხვავებული გადასახადების ვალდებულებები აღიარდება მენეჯმენტის ვარაუდის საფუძველზე, თუ რა ოდენობის ხარჯი იქნება საჭირო საანგარიშგებო დღეს ვალდებულების დასაფარად. რეალური ხარჯები შეფასებულისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, მსგავს აქტივთან მიმართებაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი გამოიყენება. ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში ცვლილებამ შეიძლება სამომავლო გაუფასურების მაჩვენებლების კორექტირება გამოიწვიოს.

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიკალს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

მეკავშირე მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანია გარიგებებს აფორმებს მეკავშირე მხარეებთან. ბასს 39 ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, თუ ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია არამეკავშირე მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასის განსაზღვრა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა- დანადგარ ები და აღჭურვი ლობა	საწარმის და ოფისის აღჭურვილებ ა	ლიზინგით აღებული აქტივები	მიმდინარე შენებლობა	სულ
თვითღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	1,410,934	5,351,767	6,234,679	984,153	-	-	13,981,533
შემოსვლები	-	-	119,235	91,822	-	5,781	216,838
გასვლები	-	-	-	(37,409)	-	-	(37,409)
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის	1,410,934	5,351,767	6,353,914	1,038,566	-	5,781	14,160,962
შემოსვლები	-	-	28,235	116,903	57,810	156,930	359,879
გასვლები	-	-	-	(32,041)	-	(149,579)	(181,620)
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის	1,410,934	5,351,767	6,382,149	1,123,428	57,810	13,132	14,339,220
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 1 იანვარს	-	276,965	929,534	396,462	-	-	148,511
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	-	175,319	625,722	210,747	-	-	1,011,788
დაგროვილი ცვეთა გასვლებზე	-	-	-	(37,102)	-	-	(37,102)
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბრის	-	452,284	1,555,256	570,107	-	-	2,577,646
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	-	175,319	635,754	189,338	21,863	-	1,022,274
დაგროვილი ცვეთა გასვლებზე	-	-	-	(32,041)	-	-	(32,041)
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბრის	-	627,603	2,191,009	727,404	21,863	-	3,567,879
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	1,410,934	5,074,802	5,305,145	587,691	-	-	12,378,572
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის	1,410,934	4,899,483	4,798,659	468,459	-	5,781	11,583,315
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის	1,410,934	4,724,164	4,191,140	396,024	35,947	13,132	10,771,341

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მზა პროდუქცია	132,706	322,985	124,475
დაუსრულებელი წარმოება	11,018	16,789	16,948
ნედლეული და მასალები	358,139	284,044	401,183
სხვა მარაგები	-	-	3,986
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანარიცხები	(33,528)	(44,135)	(42,658)
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	468,335	579,683	503,934

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,914,396	2,052,483	2,004,936
სავაჭრო მოთხოვნები მეკავშირე მხარეებთან	127,705	191,274	191,454
გადახდილი ავანსები	-	3,691	6,657
სხვა მოთხოვნები	16,266	3,877	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,058,367	2,251,325	2,203,047

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	5,280,663	3,091,111	1,918,300
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	5,280,663	3,091,111	1,918,300

8. საწესდებო კაპიტალი

2019, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში 100% წილს ფლობს „ჰენკელ აგ & კო. კგაა“. საწესდებო კაპიტალი სრულად შეტანილია ფულადი სახით.

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიკალს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 18	31 დეკემბერი 17
სავაჭრო ვალდებულებები	269,888	375,766
სავაჭრო ვალდებულებები მეკავშირე მხარეებთან	1,157,097	1,351,247
სხვა ვალდებულებები	1,991	2,339
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,428,976	1,729,352

10. შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი	13,989,433	13,207,149
შემოსავალი მეკავშირე მხარეებისგან	1,625,411	1,794,103
სულ შემოსავალი	15,614,844	15,001,252

შემოსავალი წარმოადგენს საქონლის რეალიზაციას და მომსახურებას. კომპანია საქონლის რეალიზაციას ახორციელებს 2016 წლიდან. მეკავშირე კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია ახორციელებს წებოვანი ნივთიერებების იმპორტს, შემდგომში სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოში რეალიზაციის მიზნით. კომპანია ასევე აწარმოებს სამშენებლო მასალებს ადგილობრივად და ახორციელებს აღნიშნული პროდუქტების რეალიზაციას სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოში. საქონლის რეალიზაცია გრძელდება და წარმოადგენს შემოსავლის მთავარ წყაროს კომპანიისთვის.

მომსახურების ანაზღაურების გაანგარიშება ხდება სერვისის გაწევისთან დაკავშირებულ კომპანიის ხარჯებზე 12,4 % ფასნამატით. 2019 და 2018 წლებისათვის გაანგარიშების მეთოდი აღწერილია შესაბამის მეკავშირე კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რაც შეზღუდულია კომპანიის წლიური ბიზნეს გეგმით.

შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის, მოცულობაზე დამოკიდებული და სავაჭრო ფასდათმობების გარეშე.

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2019	2018
ნედლეულის ღირებულება	8,721,087	8,460,859
ცვეთის ხარჯი	1,000,411	1,011,787
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9,721,498	9,472,646

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

12. მოწოდების და მარკეტინგის ხარჯები

	2019	2018
რეკლამის ხარჯები	406,548	370,508
საქონლის ხელშეწყობა და მარკეტინგი	311,020	360,076
საშუამავლო ხარჯები	33,435	32,480
სულ მოწოდების და მარკეტინგის ხარჯები	751,003	763,064

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
დასაქმებულთა ხელფასები	2,038,298	2,347,775
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	471,848	121,438
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	288,286	285,645
პროფესიული მომსახურებები	148,622	202,824
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	134,298	183,470
სხვა საოპერაციო ხარჯი	59,727	79,784
სატრანსპორტო საშუალებების ხარჯები	58,274	91,577
საკომუნიკაციო მომსახურებები	25,194	19,017
კომუნალური ხარჯები	25,026	25,782
ამორტიზაცია ლიზინგით აღებული აქტივის	21,863	-
დაზღვევის ხარჯი	29,572	17,438
ტრენინგის ხარჯი	4,024	8,521
ბანკის საკომისიო	1,943	32,319
ამორტიზაციის ხარჯი	1,378	1,378
ფოსტის ხარჯი	-	-
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,308,353	3,421,860

14. სხვა საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები, წმინდა

	2019	2018
როიალტი მეკავშირე კომპანიებიდან	(719,673)	(707,790)
მოთხოვნების გაუფასურება	(4,335)	(1,205)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	(724,008)	(708,995)
შემოსავლები დაზღვევიდან	3,446	20,421
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	3,446	20,421
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	(720,562)	(688,574)

5-14 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

15. ფინანსური შემოსავლები

ფინანსური შემოსავალი 190,570 ლარი წარმოადგენს მომდინარე სადეპოზიტო ანგარიშიდან მიღებულ საბანკო შემოსავალს.

16. ფინანსური ხარჯები

თანხა წარმოადგენს წმინდა სავალუტო ზარალს 27,854 ლარს და საპროცენტო ხარჯს 144 ლარს.

17. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დადგენილებებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაუგებარი, წინააღმდეგობრივი და მრავალმხრივი ინტერპრეტირებადი სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ. გადასახადები მოწმდება და გამოიძიება სხვადასხვა სამთავრობო ორგანოს მხრიდან, რომელთაც გააჩნიათ ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დარიცხვის უფლებამოსილება. ანგარიშების საგადასახადო შემოწმება შესაძლებელია სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, საგადასახადო წელი შეიძლება ღია დარჩეს მეტი ხნის განმავლობაში.

აღნიშნული გარემოებები პოტენციურად საქართველოში წარმოშობს ისეთ საგადასახადო რისკებს, რომლებიც არსებითად აღემატება სხვა ქვეყანაში არსებულს. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მას საკმარისად აქვს აღრიცხული საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური დადგენილებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და თუ მათ შეძლეს საკუთარი ინტერპრეტაციების აღსრულება, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები. კომპანიას იჯარით აქვს აღებული ოფისი თბილისში საოპერაციო საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე. იჯარის ვადებია ერთიდან სამ წლამდე პერიოდი. საიჯარო ხელშეკრულებების უმრავლესობა განახლებას ექვემდებარება იჯარის პერიოდის ბოლოს, საბაზრო განაკვეთის შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია სამომავლო საიჯარო გადახდები არაანულირებადი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე (იჯარით აღებული აქტივის გამოსყიდვის ვალდებულება).

შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიკალს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

18. ნაშთები და ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან

დავალიანების ნაშთები მეკავშირე მხარეებთან იყო:

	31-დეკ-19	31-დეკ-18	01-იან-18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მეკავშირე მხარეებთან			
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები (ჰენკელის მეკავშირე საწარმო	127,705	191,274	191,454
სავაჭრო და სხვა გადასახდელები მეკავშირე მხარეებთან			
- უშუალო დამფუძნებელი	-	7,310	-
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები (ჰენკელის მეკავშირე საწარმო	544,646	1,149,787	1,351,247

დებიტორული დავალიანება უზრუნველყოფის გარეშეა და მას პროცენტი არ ერიცხება. მეკავშირე მხარეების მიმართ არსებულ დებიტორულ დავალიანებაზე რეზერვი არ შექმნილა.

შემოსავლისა და ხარჯების მუხლები მეკავშირე მხარეებთან იყო:

	2019	2018
შემოსავალი		
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	1,625,411	1,794,103
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		
- უშუალო დამფუძნებელი	7,702	84,267
სხვა საოპერაციო ხარჯები (როიალტი)		
- უშუალო დამფუძნებელი	719,673	707,790

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. ხელმძღვანელი პირები მოიცავს კომპანიის კომერციულ დირექტორს. სრულ განაკვეთზე მუშაობისას გაწეული სამსახურის სანაცვლოდ კომერციული დირექტორისთვის გადახდილი კომპენსაცია შედგება ძირითადი ხელფასისგან, ფულადი ბონუსებისგან და სხვა სარგებელისგან. მთლიანი კომპენსაცია ჩართულია 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომლის აღრიცხვაც აუცილებელია კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ან რომელიც გამოიწვევს კორექტირებებს იგივე ფინანსურ ანგარიშგებაში.